საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

10/10/2023
N 09-02-16/598

598-09-02-16-2-202310101532

ქალაქ ბათუმის მერს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ **World Travel Awards-ის** ორგანიზებასთან დაკავშირებით მოგვაწოდოთ:

1. ინფორმაცია ღონისძიების დამფინანსებელი/სპონსორი ორგანიზაციებისა და მათ მიერ დაფინანსებული თანხების ოდენობის შესახებ;
2. **ინფორმაცია World Travel Awards-ის** ორგანიზების ბიუჯეტის ოდენობის შესახებ;
3. ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება, შესყიდვისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლებთან ერთად;
4. ინფორმაცია **World Travel Awards-ის** ავტორ ორგანიზაციაზე გადახდილი თანხების ოდენობის შესახებ, გადახდის დოკუმენტების ასლებთან ერთად;
5. ინფორმაცია ჯილდოების დასახელებისა და კრიტერიუმების სესახებ, ასევე კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს ჯილდოების გაცემის შესახებ, ასევე ამ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები;
6. ვის მიერ იქნა ინიცირებული ორგანიზაციები და პირები, ვისზეც გაცემული იქნა ჯილდოები, ასევე ინიცირებისას წარდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების ასლები;

7. ინფორმაცია ორგანიზაციებისა და პირების შესახებ, რომლებზეც გაიცა ჯილდო, შესაბამის კრიტერიუმებთან ერთად, ასევე ამ ორგანიზაციებისა და პირების დაჯილდოვების გადაწყვეტილებების ასლები(კომისიის სახდომის ოქმები, გადაწყვეტილებები და სხვა);
8. სხვა ნებისმიერი დოკუმენტის(შემოსული და გასული წერილები, გადაწყვეტილებები, ბრძანებები, შესყიდვის დოკუმენტები და სხვა) ასლი, რაც დაკავშირებულია ღონისძიების ორგანიზებასთან.

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE